

## "ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო კოსოვო" -ს გახსნა (21 - 22 ნოემბერი, 2011 წელი)

კოსოვოში გახსნილი სააგენტო თავისი მომავალი აქტივობებით იქნება ხიდი ევროპისაკენ არა მხოლოდ მასპინძელი ქალაქისთვის, პეკისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. გახსნის ცერემონიაზე მონაწილე ორგანიზაციები შეთანხმდნენ იმაზე რომ ეს არა მხოლოდ მოლოდინია არამედ ფაქტი.

კოსოვოს სჭირდება ევროპა ისევე როგორც ევროპა საჭიროებს რომ კოსოვოსა და სერბეთს შორის იყოს მშვიდობიანი ურთიერთობები და დიპლომატიური გაუგებრობებიც მოგვარდეს რაც შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობას. კოსოვოს ადგილობრივ დემოკრატიის სააგენტოს სურს ამაში დიდი წვლილი შეიტანოს.

ცერემონიას ესწრებოდნენ მასპინძელი ქალაქის პეკის მერი ბატონი ალი ბერიშა, ადგილობრივი სააგენტოს პარტნიორი მაუროციო კამინი, " TavoloTrentino per il Kosovo "-ს პრეზიდენტი ანდრეა ბორზაგა, კოსოვოში იტალიური კონტინგენტის და მულტინაციონალური საბრძოლო ჯგუფის დასავლეთ კოსოვოს ძალების (KFOR) მეთაური პოლკოვნიკი, და ანტონელა ვალმორბიდა, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. შეხვედრის დროს პარტნიორების მიერ იყო შემუშავებული და ხელმოწერილი შეთანხმება რომელიც სააგენტოს სამოქმედო საფუძველია. ასოციაცია "TavoloTrentino per il Kosovo" სააგენტოს მთავარ პარტნიორად იყო დამტკიცებული და სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა ელბერტ კრასნიქი.

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება ადგილობრივ დონეზე, უნარიან და ცოცხალ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად წარმოადგენს საფუძვლიან გადადგმულ ნაბიჯს კოსოვოს დემოკრატიის პროცესის გაძლიერებისკენ, სტაბილურობისკენ და განვითარებისკენ.

ამ დასახული მიზნებით, კოსოვოს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო შეიმუშავებს პროექტებს რომლებიც გააძლიერებენ შიდა-ეთნიკურ დიალოგს, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას, მხარს დაუჭერენ რომ სამოქალაქო საზოგადოებამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი ერთობების მუშაობაში, განავითარებენ დემოკრატიისა და კარგი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეების ზრდას, მხარს დაუჭერენ ეკონომიკურ განვითარებას, და უპასუხებენ მოსახლეობის პრობლემებსა და საჭიროებებს.

სააგენტოს საერთაშორისო პარტნიორები უკვე რამოდენიმე წელია აქტიურად არიან ჩართულები აქტივობებში კოსოვოში. ესენი არიან: წამყვანი პარტნიორი ასოციაცია "Table Trentino" (TCK) - (იტალია და კოსოვო) უკვე 10 წელია მუშაობს ქალაქ პეკის მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებში, " AiBi ", Friends of the Children (იტალია და კოსოვო), RTM Reggio Third World (იტალია და კოსოვო), the Only Equal Rights Association (იტალია), ALFA Formation (საფრანგეთი), ქალაქი იალოვა (თურქეთი). სააგენტოს ადგილობრივი პარტნიორები არიან ქალაქ პეკის მუნიციპალიტეტი რომელიც სააგენტოს მასპინძელი ქალაქიც არის და კოსოვოს მუნიციპალიტეტების ასოციაცია.

საერთაშორისო პარტნიორების როლი ფინანსურ მხარდაჭერაში მდგომარეობს, ისევე როგორც აქტივობებში მონაწილეობა თავიანთი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, წაახალისონ თავიანთი პარტნიორების მონაწილეობა სააგენტოს

მუშაობაში და ხელი შეუწყო სააგენტოს საკუთარ თემში მუშაობა და წახალისონ  
უფრო აქტიური მონაწილეობა.